ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

(საცხოვრებელი კორპუსის გარე ფასადის რეკლამის განთავსების შესახებ)

ქ. თბილისი 05/01/2012 წ.

ჩვენ, ერთის მხრივ ბინისა და არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეთა ამხანაგობა "ამხანაგობა №252", (შემდგომში-მესაკუთრე) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ქალბატონი შხია უთმელიძის, სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. "ნიკო&მარი"-ს (შემდგომში-რეკლამის გამავრცელებელი, წარმომადგენელი მისი დირექტორის ბატონ ლევან კეკელიშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანი წარმოადგენს მესაკუთრის საცხოვრებელი კორპუსების, მდებარე ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქ.№6, კორპ.№3-ის და ჯ. შარტავას ქ.№4, კორპ.№2-ის, სააკაძის მოედნის მხარეს არსებული გარე ფასადის რეკლამის გამავრცელებლის მხრიდან საკუთარი სამეწარმეო (სარეკლამო) მიზნებისთვის გამოყენება.

II. მხარეთა ვალდებულებები

1. მესაკუთრე ვალდებულია:

ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან გადასცეს რეკლამის გამავრცელებელს წინა მდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საცხოვრებელი კორპუსის გარე ფასადი სარეკლამო ფირნიშებისა და აბრების განსათავსებლად.

გაუთვალისწინებელი გრემოებების წარმოშობისას, რომელიც არ არის გამოწვეული რეკლამის გამავრცელებლის მიზეზით, მიიღოს შესაბამისი ზომები მისი დაუყონებლივ აღსაკვეთად.

2. მესაკუთრეს ეკრძალება, წინა მდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ გარე ფასადზე სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან რეკლამის განთავსებაზე შეთანხმების გაფორმება, რეკლამის გამავრცელებლის მხრიდან წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

3. რეკლამის გამავრცელებელი ვალდებულია:

დროულად გადაუხადოს მესაკუთრეს წინა მდებარე ხელშეკრულებით დადგენილი გადასახადი

საჭიროებისამებრ აწარმოოს ფასადის სარემონტო სამუშაოებები რაც დაკავშირებული იქნება მის საქმიანობასთან.

მისი სამეწარმეო (სარეკლამო) მიზნის განსახორციელებლად იქონიოს ელექტროენერგიის დამოუკიდებელი წყარო და არ ისარგებლოს მესაკუთრისათვის მიწოდებული ენერგიით.

4. რეკლამის გამავრცელებელს ეკრძალება მითითებული კორპუსის გარე ფასადის სხვა დანიშნულებისა და მიზნებისათვის გამოყენება, აგრეთვე მისი სარგებლობის ფორმით მესამე პირებზე გადაცემა, მესაკუთრის წინასწარი თანხმობის გარეშე.

III. ანგარიშსწორების წესი

5. წინამდებარე ხელშეკრულებით მესაკუთრისათვის გადასახდელი თანხა ყოველთვიურად შეადგენს 1200 (ათასორას) ლარს თითო კორპუსზე, როცა დატვირთულია კორპუსი სარეკლამო ბანერით.
6. რეკლამის გაკვრის დღიდან, რეკლამის გამავრცელებელი ვალდებულია მესაკუთრეს აღნიშნული თანხა გადაუხადოს ყოველი თვის ბოლომდე.
7. ანგარიშსწორება წარმოებს როგორც ნაღდი ასევე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
8. რეკლამის გამავრცელებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გადასახადის გადახდისა, ვალდებულება შესრულებულად ეთვლება, მიუხედავად იმისა, მესაკუთრე გამოიყენებს თუ არა მას მიზნობრივად, კერძოდ, მესაკუთრის (ამხანაგობის) დებულებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანებისათვის.

IV. ხელშეკრულების ვადები

9. წინამდებარე ხელშეკრულება იდება 5(ხუთი) წლის ვადით და ძალაშია 2012 წლის 5 იანვრიდან 2017 წლის 5 იანვრამდე.
10. ხელშეკრულების დადებიდან ყოველი წლის განმავლობაში მოხდეს ხელშეკრულების გადახედვა, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ არცერთ მხარეს არ განუცხადებია ხელშეკრულებების პირობების შეცვლის შესახებ იგი გაგრძელებულად ითვლება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ვადით და პირობებით.

V. მხარეთა პასუხისმგებლობა

11. ხელშეკრულების ვადაზე ადრე ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, რაც გამოიხატება მიუღებელ შემოსავალში, ვალდებულების ჯეროვნად შეუსრულებლობის შედეგად.

VI. დავის გადაწყვეტა

12. ყველა სადავო საკითხი, რომელიც წარმოიშვება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან მისგან გამომდინარე, მხარეებს შორის გადაწყდება მოლაპარაკების გზით.
13. იმ შემთხვევაში თუ მხარეები მოლაპარაკების გზით ვერ გადაწყვეტენ სადავო საკითხს, მაშინ საქმეს განიხილავს საერთო სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
14. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

VII. დასკვნითი დებულებები

15. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2(ორი) ეგზემპლარად.

VIII. მხარეთა რეკვიზიტები

მესაკუთრე:

"ამხანაგობა №252"

მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №4, კორპ. №2

თავმჯდომარე:

მზია [illegible]

რეკლამის გამავრცელებელი

შ.პ.ს. "ნიკო&მარი"

ქ.თბილისი, წერეთლის, გამზირი №77

დირექტორი:

ლევან კევლიშვილი

05/01/2012წ. ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ი ს დ ა ნ ა რ თ ი

(საცხოვრებელი კორპუსის გარე ფასადის სარეკლამო ფართის შესახებ)

ქ. თბილისი

26/03/2012 წ.

ჩვენ, ერთის მხრივ ბინისა და არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეთა ამხანაგობა "ამხანაგობა №252", (შემდგომში-მესაკუთრე) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ქალბატონი მზია უთმელიძის, სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. "ნიკო&მარი"-ს (შემდგომში-რეკლამის გამავრცელებელი, წარმომადგენელი მისი დირექტორის ბატონ ლევან კეცლიშვილის სახით, დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება 05/01/2012წ.-ს და ახლა გვინდა ამ ხელშეკრულების დანართის დამატება გარე ფასადის სარეკლამო ფართის კვადრატულობის შესახებ.

დანართი

ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს მესაკუთრის საცხოვრებელი კორპუსების, მდებარე ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქ.№6, კორპ.№3-ის და ჯ. შარტავას ქ.№4, კორპ.№2-ის, სააკაძის მოედნის მხარეს არსებული გარე ფასადების კვადრატულობას. ერთი კორპუსის გარე ფასადი სარეკლამოდ დამოსაყენებელი შეადგენს 400(ოთხას) კვ/მ. ორივე კორპუსის გარე ფასადი რაც აქვს შ.პ.ს.„ნიკო&მარი"-ის იჯარით აღებული ხელშეკრულება 05/01/2012წ.-ის მიხედვით შეადგენს 800(რვაასი)კვ/მ.

მხარეთა რეკვიზიტები

მესაკუთრე:

"ამხანაგობა №252"

მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №4, კორპ. №2

თავმჯდომარე:

მზია უთმელიძე

რეკლამის გამავრცელებელი

შ.პ.ს. "ნიკო&მარი"

ქ.თბილისი, წერეთლის, გამზირი №77

დირექტორი:

ლევან კეცლიშვილი

05/01/2012წ. ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ი ს დ ა ნ ა რ თ ი

(საცხოვრებელი კორპუსის გარე ფასადის რეკლამის განთავსების ვადის გაგრძელების შესახებ)

ქ. თბილისი 14/09/2015 წ.

ჩვენ, ერთის მხრივ ბინისა და არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეთა ამხანაგობა "ამხანაგობა №252", (შემდგომში-მესაკუთრე) წარმოდგენელი მისი თავმჯდომარის ქალბატონი მზია უთმელიძის, სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. "ნიკო&მარი"-ს (შემდგომში-რეკლამის გამავრცელებელი, წარმომადგენელი მისი დირექტორის ბატონ ლევან კევლიშვილის სახით, ვდებთ 05/01/2012წ. –ის ძირითადი ხელშეკრულების დანართს შემდეგზე:

I. 05/01/2012წ. ხელშეკრულების დანართის საგანი.

1.1 ხელშეკრულების დანართის საგანს წარმოადგენს 05/01/2012წლის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას 25 (ოცდახუთი) წლით.

1.2 მოიჯარე ამ ეტაპზე აპირებს სარეკლამო საქმიანობის განვითარების მიზნით, 2016 წელს აითვისოს ჟ.შარტავადს №4 ში მდებარე გარე ფასადის ნაწილი ფართი კერძოთ: (საბანერე 300 კვადრატული კონსტრუქციის ფართის ქვეშ მდებარე 100 კვადრატული კედლის ნაწილი ფართი, თანამედროვე მონიტორის მონტაჟისთვის), რის საფუძველზეც ვდებთ ხელშეკრულების ვადის ხანგრძლივობის დანართს და ამ ფართის სანაცვლოდ დამატებით გადაიხდის თვეში 400 ლარს.

1.3 თუ მოიჯარე ვერ განახორციელებს ზემოთ აღნიშნულ ახალ პროექტს ჟ.შარტავას №4 –ში მდებარე 100 კვადრატული ფართის ათვისებას სარეკლამო მიზნებისთვის, მაშინ მოიჯარემ, წერილობით უნდა აცნობოს მეიჯარეს წინასწარ ერთი თვით ადრე და დამატებით განსაზღვრული იჯარა აღარ დაეკისრება, ხოლო ამ დანართით განსაზღვრული იჯარის ვადა დარჩება უცვლელი.

1.4 როცა მოიჯარე აითვისებს სარეკლამო მიზნების განსახორციელებლად ჟ.შარტავას №6-ში საბანერე 300 კვადრატული კონსტრუქციის ფართის ქვეშ მდებარე 100 კვადრატული კედლის ნაწილი ფართს, მაშინ მეიჯარე ვალდებული წერილობით შეატყობინოს მოიჯარეს ამ ფართის ათვისების სესახებ და დამატებით გადაიხადოს თვეში 400 ლარი იჯარის სახით.

II. მხარეთა ვალდებულებები

მესაკუთრე (მეიჯარე) ვალდებულია:

2.1 ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული ყველა პუნქტი და პირობა შეასრულოს პირნათლად და კეთილსინდისიერად.

2.2 ხელი შეუწყოს რეკლამის გამავრცელებელს სარეკლამო საშუალების მასალის(ახალი კონსტრუქციის, მონიტორის), მონტაჟის, დემონტაჟის, რეკონსტრუქციის ან რემონტის გახორციელების დროს, რაც გულისხმობს მოიჯარის წარმომადგენლის თავისუფალ დაშვრბას ობიექტის შიგნით ასევე, საერთო სარგებლობის ფართებში.

2.3 გაუთვალისწინებელი გრემოებების წარმოშობისას, რომელიც არ არის გამოწვეული რეკლამის გამავრცელებლის მიზეზით, მიიღოს შესაბამისი ზომები მისი დაუყონებლივ აღსაკვეთად.

2.4 მესაკუთრეს ეკრძალება ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, წინა მდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ გარე ფასადზე სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან რეკლამის განთავსებაზე შეთანხმების გაფორმება, რეკლამის გამავრცელებლის მხრიდან წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

2.5 მესკუთრე აცხადებს, რომ მესამე პირები არ განაცხადებენ პრეტენზიას 05/01/2012წ. ხელშეკრულების დანართის საგანზე. ასეთ პრეტენზიის წარმოშობის შემთხვევაში თავად უზრუნველყოფს წარმოშობილი დავების მოგვარებას, ისე რომ ხელშეკრულების დანართს არ შეექმნება საფრთხე.

რეკლამის გამავრცელებელი (მოიჯარე) ვალდებულია:

2.6 დროულად გადაუხადოს მესაკუთრეს ხელშეკრულების დანართით დადგენილი გადასახადი.

2.7 საჭიროებისამებრ აწარმოოს ფასადის სარემონტო სამუშაოებები რაც გამოწვეული იქნება ახალი სარეკლამო საშვალებების მასალების მონტაჟი და დემონტაჟის პერიოდში და ასევე დაკავშირებული იქნება მის საქმიანობასთან.

2.8 ახალი სარეკლამო საშვალებების მასალებისთვის იქონიოს ელექტროენერგიის დამოუკიდებელი წყარო და არ ისარგებლოს მესაკუთრისათვის მიწოდებული ენერგიით.

III. ანგარიშსწორების წესი

3.1 05/01/2012 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იჯარის თანხა და მისი გადახდის პირობები (თანხა ყოველთვიურად შეადგენს 1200 (ათას ორას) ლარს თითო კორპუსზე, როცა დატვირთულია კორპუსი სარეკლამო ბანერით.) ძალაში რჩება ხელშეკრულების დანართის ვადის ამოწურვამდე.

3.2 ასევე 1.2 პუნქტით გათვალისწინებული ფართის იჯარის თანხის 400 ლარის საიჯარო ქირის ვალდებულება წარმოიშვება 2016 წლის 1 იანვრიდან.

3.3 1.2 პუნკტით გათვალიწინებული იჯარის თასხის გადახდის პირობები:

3.3.1. 6 (ექვსი) თვის იჯარის ქირის გადახდა განხორციელდება არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.

3.3.2. 2016 წლის დარჩენილი საიჯარო ქირის გადახდა განხორციელდება სარეკლამო მონიტორის დამონტაჟების დღიდან 15 დღის ვადაში.

3.3.3. 2017 წლიდან 2027 წლამდე პერიოდში წლიური საიჯარო ქირის გადახდა განხორციელდება წლის დასაწყისში არაუგვიანეს ყოველი წლის 15 იანვრისა;

3.3.4. 2028 წლიდან ხელშეკრულების მოქმედების ბოლომდე საიჯარო ქირის გადახდა განხორციელდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ავანსის სახით არაუგვიანეს ყოველი მეორე წლის 15 იანვრისა.

3.4 თუ მეიჯარე ვე განახორციელებს დამატებითი ინვესტიციას ან ვერ გაამართლებს მისი გეგმები რეკლამის განვითარების მიზნით მეიჯარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მოიჯარეს ერთი თვით ადრე ამის შესახებ და მომდევნო თვიდან აღარ დაერიცხება იჯარა. ხოლო,წინასწარი გადახდილი თანხა 6 თვის იჯარა აღარ დაუბრუნდება რის მოთხოვნის უფლება არ ექნება.

3.5 ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.6 რეკლამის გამავრცელებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გადასახადის გადახდისა, ვალდებულება შესრულებულად ეთვლება, მიუხედავად იმისა, მესაკუთრე გამოიყენებს თუ არა მას მიზნობრივად, კერძოდ, მესაკუთრის (ამხანაგობის) დებულებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანებისათვის.

IV. ხელშეკრულების დანართის ვადები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულების დანართით 05/01/2012წლის ხელშეკრულება გრძელდება 25(ოცდახუთი) წლის ვადით, რი საფუძველზეც 05/01/2012წლის ხელშეკრულების ვადა ძალაშია 2042 წლის 5 იანვრამდე.

4.2 ორივე მხარე ვთანხმდებით შემდეგზე, რომ 05/01/2012წ. –ის ძირითადი ხელსეკრულების 4 თავის 10 პუნქტი (ხელშეკრულების ვადების გადახედვის საკითხი) გაუქმდეს და ამოქმედდეს 14/09/2015წლის ხელშეკრულების დანართის 4.3 პუნქტი.

4.3 თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დანართის დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დანართის დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულების დანართს ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების დანართის მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების დანართის მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების დანართის მკაცრად დაცვა.

V. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 ხელშეკრულების ვადაზე ადრე ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, რაც გამოიხატება მიუღებელ შემოსავალში, ვალდებულების ჯეროვნად შეუსრულებლობის შედეგად და ამასთანავე თუ, მეიჯარე დაარღვევს 05/01/2012წლის ხელშეკრულების და 14/09/2015წლის ხელშეკრულების დანართის პირობებს და მოიჯარესთან შეთანხმების გარეშე წინასწარ ცალმხრივად შეწყვიტავს ხელშეკრულებას, მაშინ ორივე მხარე ვთანხმდებით შემდეგზე, რომ მოიჯარე უფლება მოსილია დააკისროს მეიჯარეს 50 000 (ორმოცდა ათი ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში) პირგასამტეხლოს სახით.

VI. დავის გადაწყვეტა

6.1 ყველა სადავო საკითხი, რომელიც წარმოიშვება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან მისგან გამომდინარე, მხარეებს შორის გადაწყდება მოლაპარაკების გზით.

6.2 იმ შემთხვევაში თუ მხარეები მოლაპარაკების გზით ვერ გადაწყვეტენ სადავო საკითხს, მაშინ საქმეს განიხილავს საერთო სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3 საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

6.4 მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირველი ინსტანციის სასამართლოს გამოტანილი გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 ნაწილის საფუძველზე.

VII. დასკვნითი დებულებები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების დანართის ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

7.2 ნებისმიერი შეტყობინება, კორესპონდენცია უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას.

7.3 წინამდებარე ხელშეკრულების დანართის რომელიმე დებულების ან/და ნაწილის ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების სრულ ბათილობას.

7.4 მეიჯარეების მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ეკისრებათ როგორც სოლიდარულ მოვალეებს.

7.5 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2(ორი) ეგზემპლარად.

VIII. მხარეთა რეკვიზიტები

მესაკუთრე : (მეიჯარე)	რეკლამის გამავრცელებელი (მოიჯარე)
"ამხანაგობა №252"	შ.პ.ს. "ნიკო&მარი"
მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №4, კორპ. №2	ქ.თბილისი, წერეთლის, გამზირი №77
თავმჯდომარე:	დირექტორი:
მზია ქუთხელიძე	ლევან კევლიშვილი

01024044750

01024030339

01024025694

01024040706

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას თხუთმეტი წლის ორ ოქტომბერს მე, ნოტარიუს ნანა ბაკურაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, კოსტავას ქ. №76-ში, მომმართეს ბმა "252"-ის თავმჯდომარემ მზია უთმელიძემ და შპს "ნიკო & მარი"-ს (ს/კ 202450953) დირექტორმა ლევან კევლიშვილმა. მათ წარმოადგინეს 05.01.2012წ. ხელშეკრულების 14.09.2015წ. დანართი და მოითხოვეს მასზე თავიანთი ხელმოწერების სინამდვილის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მათი პირადობა, მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად მზია უთმელიძემ (დაბადებული 18.10.1941წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი შარტავას 6, ბინა 56, ბარათის №111C36204, პირადი №01024023938, გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ 12.04.2012წ.) და ლევან კევლიშვილმა (დაბ. 09.03.1975წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე თბილისი, პეკინის გამზ. №25, კორპ. 12, ბინა 18, პ/მ №ბ 0943967, პირადი №01024015589 გაც. სრს საბურთალოს სამსახურის მიერ 29.06.2006წ.) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მათ განაცხადეს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების დანართი ზუსტად გამოხატავს მათ ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი მას.

რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის სახელური (წინამდებარე ხელშეკრულების დანართი 2 ეგზემპლიარზე შესრულებული 4 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 8 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დ.გ 1 ლარი და 44 თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად "საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა): – სულ გადახდილია 11 ლარი და 44 თეთრი.

ნოტარიუსი _____ ნანა ბაკურაძე

საქართველო ნოტარიუსი ნანა ბაკურაძე GEORGIA NOTARY NANA BAKURADZE 01024030536

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N151091972
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	02.10.2015 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნანა ბაკურაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი კოსტავას ქ.N76
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	33 18 67
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	44175199032915

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18